საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/123

23 ივნისი, 2023 წ. ქ. ბათუმი

ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი" დოქტორანტ ნონა სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ" ბსუ-ს აკადემიურის საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის N49 დებულების, ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 2 ოქტომბრის №01-09/471 ბრძანების (ნონა სურმანიძის დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ), ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 9 მარტის №01-08/77 ბრძანების (2020-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ბსუ-ს სტუდენტთა მიერ საგანმანათლებლო პროგრამების შეცვლის (შიდა მობილობის) შესახებ), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (19.06.2023, ოქმი №27–20/10) და სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (22.06.23 №747903) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი"-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ ნონა სურმანიძის სადისერტაციო ნაშრომის: **"ფშატის (Elaeagnus Umbellata Thunb.) ნაყოფებისა და ფოთლების ბიოლოგიურად აქტიური ნაერთების ქრომატოგრაფიული კვლევა"** საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 7 ივლისს, 13:00 საათზე, №328 აუდიტორიაში (ბსუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, ბათუმი, ნინოშვილის /რუსთაველის №35/32).
2. დამტკიცდეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი დარგობრივი სადისერტაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) რუსუდან ხუხუნაიშვილი - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) ნანა ზარნაძე - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ბიოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი - კომისიის მდივანი;

გ) ალეკო კალანდია - ბიოლოგიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის პროფესორი;

დ) თინა ხარებავა - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

ე) მზია დიასამიძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი;

ვ) ინდირა ჯაფარიძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი;

ზ) მაია ხარაძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს ქიმიის დარგობრივი დეპარტამენტის მოწვეული უფროსი მასწავლებელი;

თ) რუსლან დავითაძე - ქიმიის დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი;

ი) მერაბი არძენაძე - ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ბსუ-ს აგრარული და მემბრანული ტექნოლოგიების ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი.

3. ბსუ-ს რექტორის ბრძანება და სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე (საჯარო დაცვის თარიღის, დროის, ადგილის, დოქტორანტისა და სადისერტაციო თემის შესახებ).
4. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
5. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი ქ. დოლიძე) და მდივანს (ასოც. პროფესორი ნანა ზარნაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**